



სათეატრო სალიტერატორული ჟურნალი

№ 18 — 1917	ფასი	წელიწადი მისთვის
შაბათ აპრილის 29	15 კ.	გამოცემისა

ვალ. გუნიას მწ. წ. მოღვაწეობის პატივსაცემად  
 დღეს, შედღის 1 ს., სასემწიფო თეატრში გაიმართება  
 თეატრის სასემწიფო კულტურული კრება.

### ბ უ კ ი

1.

წალკოტი კეკელუც ივერიისა  
 დღეს ჩვენგან თხოვს ხსნასა და შველას!  
 და, მეც, მებუკე, მისი მგოსანი,  
 აქეთკენ გიწვევთ ერთგულნი ყველას!

2.

ვისაც ჯერ კიდევ არ ჩაჰქრობია  
 სამშობლოს ტრფობა და სიყვარული,—  
 ჩემსკენ ისწრაფოს! — დიდა ვალი! —  
 ჩვენ უნდა ვიხსნათ ჩვენი მამული!



ს. ვუნია — პეტრონიუსი (იგივე სვლა, უფალო)



**შაბათი, აპრილის 29**

**იშვიათი მოდღესასწაულე.** დღეს ჩვენი სცენა ზეიმობს, ზეიმობს და უხარია, რომ თავის ერთგულ მრავალქირ

ნახულ ქურუმს სდაფნის. ზეიმობს ჩვენი მწერლობა, რომ თავის ერთ მხნე და შეუდრეკელ მწერალ-მუშაკთაგანს, მრავალი ომის გადახდის შემდეგ პირის-სპირ უქვრეტს.

ზეიმობს ჩვენი საზოგადოება, რომ დღეს, 35 წლის თავზე ერთ პირ მადლობას მაინც ეტყვის იმ კაცს, რომელიც მთელი ოცდახუთმეტი წელიწადი შეგნებულად ემსახურებოდა სამშობლო ქვეყნის გათვითცნობიერებას საკუთარ ფეხზე დადგომას.

ზეიმობს ქართული დრამატურგიაც, რომლის გამდიდრებაში ვალიკოს დიად დიდი წილი უძევს.

სცენა, მწერლობა, ჟურნალისტიკა, წიგნთა შედგენა-გამომცემლობა, პოლიტიკური მოღვაწეობა—რომელ ასპარეზზე არ შეგხვედრიათ ვალიკო...

დაე, ვალიკო გუნიას ბევრს რამეში ნუ დავეთანხმებით, დაე მას ნაკლიცა ჰქონდეს, მაგრამ ეს არ ამცირებს. ის ჩვენი საზოგადოებრივი ზრდა-განვითარების ძვალი ძვალთაგანია, სისხლი—სისხლთაგანი.

განა ზოგჯერ მთვარეს კი არ აჩნევია ხალეები?!

მიუხედავად ამისა, ის ბნელ ღამეში გზას გვინათებს.

სწორედ ბნელი ღამე იყო ჩვენი საზოგადოებრივი, სამწერლო და სასცენო ცხოვრება რევოლუციის წინა ხანაში—რუსეთის თვითმპყრობელ მახელეთა ბატონობაში.

დამონებული, ლაგამ-აკრული, სულიერად და ნივთიერად გაქვლილი ერი: მოწინავე საზოგადოება გადაგვარების გზაზე შემდგარი, ხოლო მდამბო ხალხი სიბნელეში ჩაფლული—აი ჩვენი ქვეყანა გასული საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ.

ქართულმა სცენამა და მწერლობამ ჩვენი ქვეყნის ასეთი მდგომარეობა შესცვალა, ერი გამოფხიზლდა, ხალხმა დაიწყო ბედის

ძიება და აწ უკვე ბრწყინვალე დღის მოლოდინში ვართ. დღეს არა—ხვალ ჩვენმა ქვეყანამაც თავისუფლად უნდა ამოისუნთქოს, თავის თავის პატრონი შეიქმნეს, თავისი ოჯახური საქმეები თავის გემოზე მოაწყოს.

ამ ბედნიერი დღის მოახლოების ერთი რაინდთაგანია დღევანდელი მოდღესასწაულე—ვაჟუჟიან გუნია.

და მისი დღესასწაული ბევრ გზითაა საყურადღებო.

ვალიკო დღესასწაულობს სწორედ მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი ძველი წყობილების დამხობას დღესასწაულობს.

ვალიკო დღესასწაულობს სწორედ იმ დროს, როდესაც ერთფეროვან, შეუღებელ ბრძოლაგან უკვე შეგნებული ქართველი ხალხია წარმომდგარი, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიად დარაზმული და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმული, რომელიც ელტვის სამშობლოსაც მალე მოანიჭოს ბრწყინვალე დღესასწაული.

ვალიკო დღესასწაულობს იმ დროს, როდესაც ქართველი მსახიობი იმდენად გამოქვლიაქდა, რომ საკუთარ თავს ცნობილობს და სწორედ ვალიკოს დღესასწაულის მეორე დღეს აპირებს საკუთარ ფეხზე დადგომას: სამსახიობო კავშირის შეკვრას, რომ სასცენო ხელოვნების საქმე უკეთ აწარმოოს და მთლიან საქართველოს ესაღბუნოს.

დიდია ღვაწლი ვალიკოსი: ნათესიან მისიან ინაყოფიერა საქართველოს გათვითცნობიერების სახით.

უკვდავმოც იყოს ნაყოფი იგი და ვაჟ-მარჯოს მის ერთ მხნე მუშაკთაგანს—ვალიკოს.

**იოსებ იმედაშვილი**

**საქართველოს ავტონომია**

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია რომ პრაქტიკულ საკითხად გადაიქცეს, საქირთა, ის მოითხოვოს მთელმა ქართველმა ერმა, მთელი ქართველი ერის სახელით ლაპარაკობენ ჩვენში სხვადასხვა პარტიები: სოციალდემოკრატიული, ფედერალისტები, ნაციონალისტები.



მაშასადამე საჭიროა, რომ ეს პარტიები შეთანხმდნენ ეროვნული საკითხის ნიადაგზე და შეიმუშაონ ერთი გეგმა საქართველოს თვითმართველობისა.

ამ მხრივ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე სოციალდემოკრატიულ პარტიას აწევს, რადგანაც ფედერალისტები და ნაციონალისტები ავტონომიის მომხრენი არიან.

სოციალდემოკრატიულ პარტიას უზომო სამსახური მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. მას ძალიან ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი, ათასნაირი დაბრკოლება ელობებოდა წინ; მას ბრძოლა სჭირდებოდა თუ შინ, თუ გარეთ.

ამგვარ პირობებში ეროვნული საკითხი მას გამოუჩვეველი დაჩაჩა.

ფედერალისტებთან ბრძოლით გატაცებაში სოციალდემოკრატიამ უარპყო ტერიტორიული ავტონომია, პროპაგანდისტებმა ხომ მთლად გაუტყვეს ავტონომიის სხელი და ხალხს შეაძლეს.

რითი, რა საშუალებით? ავტონომიის კრიტიკით?

არა, სულ უბრალო და მასთან ფრიად ადვილი საშუალებით: ცილის წამებით, ავტონომიაზე დამახინჯებული, ყალბი წარმოდგენის გავრცელებით.

ცხრაას ოთხიდან მოყოლებული ამგვარ პირობებში სწარმოებდა პარტიული მუშაობა ავტონომიის წინააღმდეგ და აი დადგა დრო, როდესაც ავტონომია დღიურ საკითხათ დაისვა, როდესაც გაჩუმება, პასუხის გაუცემლობა აღარ შეიძლება.

ეს კიდევ არაფერი, რომ შესაძლებელი იყოს ორნაირი პასუხი.

საქმეც იმაშია, რომ პასუხი მხოლოდ ერთნაირი შეიძლება დღევანდელი რევოლუციის პირობებში: ტერიტორიული ავტონომიის მიღება.

მართალი უნდა ვსთქვა: დიდი სიძნელეა პარტიის წინაშე ამართული, მაგრამ —

„ჩვენს, თუ კატმან გონაეგმან ძნელი საქმე გაგვგონა“.

პარტიამ სწორედ ახლა უნდა გამოიჩინოს გონიერება, სიბრძნე, სიღინჯე, გამჭვირვაობა

და გადასწყვიტოს ეროვნული საკითხი ისე, როგორც ეს გადასწყვიტა რუსეთში ყველა ჩვენს ბედში მყოფი ერის სოციალდემოკრატიამ.

მართალია, აჩქარება არასოდეს არ არის კარგი, მაგრამ აჩქარება და ჩქარი, სწრაფი მუშაობა ხომ ერთი და იგივე არ არის; დღეს კი სწორედ ჩქარი მუშაობაა საჭირო, ჩქარა გადაწყვეტა ეროვნული საკითხისა.

რატომ?

იმიტომ, რომ დრო ხომ ჩვენ არ გვიცდის; ყოველ დღეა მოსალოდნელი დიდი ამბები რუსეთში და ჩვენ კი ყოველ კითხვაში მზა უნდა ვიყოთ.

ავტონომიის ბედიბალი რომ მართო ჩვენი პარტიების ხელში იყოს, კიდევ ჰო, ცოტა „დაყოვნება ხანისა“ შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ საქართველოს ავტონომიის საკითხი მართო ჩვენი პარტიების ხელთ არ არის, — მას მხარი უნდა დაუჭირონ თათრებმა, კავკასიონის ერებმა და სომხებმა.

ყველა ამათთან მოლაპარაკება, შეთანხმება საჭირო, უფრო კი სომხებთან.

განსაკუთრებით ძნელია შეთანხმება სომხებთან; ამას ბევრი დრო და შრომა უნდა და სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ ჩვენი პარტიები რაც შეიძლება მაღე შეთანხმდნენ.

არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ სოლოლაკი მეტათ ძლიერია ფულითა და გავლენით.

სოლოლაკი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შეხვდა ეკლესიით და საქართველოს ავტონომიის კი ვარდებით დაუხვდება?

სომხის ერის დიდი ნაწილი ავტონომიურ საქართველოში და ავტონომიურ ადერბეიჯანში მოექცევა.

შესაძლებელია, ამ გარემოებაში ისეთი დიდი ზარალი დაინახოს სომხის ბურჟუაზიამ თვისი ერისათვის, რომ თვისი ავტონომიაც უარპყოს და ჩვენც ხელი შეგვიშალოს.

დავანებოთ თუნდა ამ მოსაზრებას თავი.

ვთქვათ, სომხის ბურჟუაზიამ მოითხოვა კავკასიის სომხეთის ავტონომია და ჩვენს ავტონომიისაც პრინციპიალურათ შეურიგდა.

აქ იბადება ფრიად ძნელი საკითხი სამზღვრების შესახებ.



ჩვენი ავტონომიის სამზღვრების გამოკვეთა ყოველად შეუძლებელია ისე, თუ სომხებთან არ შევთანხმდით.

ჩვენში ამ კითხვის შესახებ ორგვარი შეხედულება არსებობს—ისტორიული და ეტნოგრაფიული. პირველს საფუძვლად უდევს ისტორიული მფლობელობა საქართველოსი, სამეფოს ისტორიული სამზღვრები; მეორეს კი დღევანდელი მოსახლეობის სამზღვრები.

ისტორიულათ ბორჩალოსი და ახალქალაქის მაზრები საქართველოსია.

დღეს კი ორივე ამ მაზრაში ქართველობა წარმოადგენს უმცირესობას, უმრავლესობა კი სომხობაა, თათრები და სხვ.

ისტორიულის თვალსაზრისით თუ ვინმემძღვანელოთ, მთელი ეს ორი მაზრა ავტონომიური საქართველოს სამზღვრებში უნდა შევიტანოთ; მაგრამ ამის წინააღმდეგი იქნება მარტო სომხის ბურჟუაზია კი არა, არამედ სომხის დემოკრატიაც; ის წამოაყენებს დღევანდელს მოსახლეობას და იტყვის: ბორჩალოსა და ახალქალაქის ის ნაწილები, სადაც უმრავლესობას სომხები შეადგენენ, უსათუოდ ავტონომიურ სომხეთში უნდა მოჰყვესო.

ქართველი ერის ინტერესი მოითხოვს, რომ ორივე ეს მაზრა, სადაც წინედ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, დღეს კი სხვადასხვა ტომითა შექრელებული, საქართველოს სამზღვრებში დარჩეს.

მაგრამ ამგვარივე ინტერესი სომხის ერისა მოითხოვს, რომ ამ მაზრების ნაწილი სომხეთის სამზღვრებში შევიდეს.

ჩვენ იმათ ვერ დავარწმუნებთ და ვერ დავიყოლიებთ, ისინი კიდევ ჩვენ.

მაშასადამე საჭიროა ჩვენ შორის მოლაპარაკება და შეთანხმება.

ამას კი უნდა დრო, რომელიც არავის არ უცდის და სწრაფად მიდის წინ.

ამიტომ ჩვენი პარტიები ვალდებული არიან, ყოველი ღონე იღონონ, ძალა დაატანონ საკუთარ თავს, რომ დამფუძნებელი კრების წინაშე მომზადებული წარსდგენ და ისტორიის წინაშე სირცხვილი არა სქამონ.

*თეოქტიშვილი*

### 3. გუნიას

ბუჩქის ძირას მოვკრიფე  
სოსანი და იანი,

შევეკარ, შევალამაზე

გვირგვინი ეშხიანი;

შიგ ჩავაწან სამშობლოს

გული კაეშნიანი,—

ამით მინდა შევამკო

ჩვენი ვალერიანი!..

ქ. ძიძაძე

## ვალიკო სიჭაბუკეძე

ვალერიან გუნია მე გავიცანი ოთხმოციან წლებში, როდესაც იგი ჯერ ისევ თბილისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა. იმ დროს მე და გრ. ჩარკვიანს ლორის მელიქოვის ქუჩაზე. სემენარიის პირდაპირ, წიგნის მაღაზია გვქონდა. ვალიკო გაგვეცნო თუ არა, ჩვენს მაღაზიაში დაიწყო სიარული. მაგრამ ქართული ხეირიანად არ იცოდა. მოგვხსენებათ, იმ დროს თბილისის სასწავლებელში ქართველ მოწაფეს რუსულად აწავლიდნენ ქართულს და ვალიკოც ასეთს გზას ადგა: ქართული ლაპარაკი და ქართული წიგნის კითხვა ძალიან ეძნელებოდა. უმეტეს ნაწილად რუსულად ლაპარაკობდა. მაგრამ დიდი სიყვარული ჰქონდა ქართულის შესწავლისა. ჩვენც ხელი მოუმართეთ და ნელ-ნელა შევჩვიეთ ქართულს, შევავყარეთ საქართველოს ისტორია. ამისთვის მივეციოთ ჰ. იოსელიანის ისტორიული წიგნაკები, რუსულად დაბეჭდილი. ვალიკოს ძლიერ ესიამოვნა, დაეწაფა ისტორიულს წიგნებსა, მოკლე დროში ბევრი რამ გადაიკითხა და გაცნო საქართველოს წარსულსა. რეალური სასწავლებლიდან რო გამოვიდა, მოსკოვს წავიდა სასწავლებლად. ქართული ლაპარაკი და კითხვა თუმცა ისწავლა, მაგრამ ჯერ კარგად არ იყო განვითარებული. ამიტომ მოსკოვიდან პირველ ხანებში რუსულად მწერდა ხოლომე. წერილებში ხშირად ასე მიწოდებდა: „შენ ხარ ჩემი მასწავლებელიო“. მოსკოვში მიღე შეითვისა ქართული ლაპარაკი და კითხვაც. სიღარიბისა გამო ვალიკო თბილისს მალე დაბრუნდა. ახლად ჩამოსულმა ვალიკომ კვლავინ-



დებურად რუსულად კი არ დამიწყოა ლაპარაკი, არამედ ნიშენიერი ქართულითა სუფთა ენით და წყლიანად. აი ამ დღიდან, ე. ი. მოსკოვიდან ჩამოსვლილამ, ვალიკო ჩაება ქართულს საქმეში და დღემდე მხნედ და მედგრად ემსახურება სცენას, თეატრს, ლიტერატურას და ქართველ საზოგადოებას. მისი სულის ძალა და ენერჯია დუშრეტელი იყო. მისი ბოლო ჟამს ავად ყოფობამ მის ენერჯიას ცოტა ფერი შეაკვცია, მაგრამ კვლავ დაუბრუნდება ჯან-ღონე და კვლავინდებურად არ მოაკლებს თავის შრომას ქართველ საზოგადოებას.

მევე აღმები მეც ძვირფას ვალიკოს და გულწრფელად ვუსურვებ კარგად ყოფნას მშობელი ერის სამსახურისათვის.

**წ. ჭიჭინაძე**

**ოთარბეგი—გუნია და ბათო-  
მის პოლიცია**

როცა ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“ პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე, თბილისის და ქუთაისის შეერთებული დრამატული დასი ამ პიესით გაემგზავრა ქუთაისსა და ბათუმს რა თქმა უნდა, იმერეთის საზოგადოება აღტაცებული იყო პიესით და მსახიობთა მწყობრი თამაშით, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის პირველი წარმოდგენა ჩვენი ჟურნალ გაზეთების მიერ დაწუნებული იყო.

ბათომში წარმოდგენა რკინის თეატრში გაიმართა და აუარბელი ხალხი დაესწრო. პირველმა მოქმედებამ საუცხოვოდ ჩაიარა. მეორე მოქმედების დაწყება ცოტათი შეგვიანდა და ხალხმა ღელვა და შფოთი დაიწყო. გუნია—ოთარბეგი და ფეფიკო მესხი—ზეინაზი ტანსაცმელს იცვლიდნენ.

დაპკრეს მეორე ზარი. ამ დროს კულინებში რაღაც ხმაურობა ატყდა: თურმე კოტე ყიფიანი—ანანია გლახას როლში გამოწყობილი იქვე გასასვლელ კარებთან სდგას და პაპიროსს ეწევა. ეს შენიშნა ერთმა გულმოდგინე „პაჭარნის“ (ცეცხლის მქრობელი რაზმის ჯარისკაცმა) და კოტეს ხეპრულად უბრძანა პაპიროსის გადაგდება; კოტე ხუმრობით

უბასუხებს: შენ რა გაწუხებს, როცა გათავდება, მაშინ გადავაგდებო. ეს პასუხი „პაჭარნის“ ეწყინა და იქვე მდგომ ყაზახებს უბრძანა—გარეთ გაეყვანათ კ. ყიფიანი.

კოტემ იწყინა და უთხრა თავხედ „პაჭარნის“: შენ თვითონ გარედ გადი, შე ხეპრე, შენაო. ამ დროს კულინებში შემოვიდა მორიგი ბოქაული ვიდაც ფილიმონოვი, რათა წარმოდგენა დროზე დაეწყოთ. რაკი კოტეს და „პაჭარნის“ დავას წააწყდა, არც აცივა და არც აცხელა—უბრძანა ყაზახებს კოტე „უჩასტკაში“ წაეყვანათ კოტეს მივარდნენ ყაზახები. ბოქაულს და „პაჭარნის“ კოტე ეგონათ უბრალო გლეხი, შემთხვევით შემოსული, რადგან კულინებში ბევრი სტატისტიები იყვნენ. კოტეც გაჯიუტდა, თვითონ წინ მიუძღვის, ყაზახებს—წამობრძანდითო.

ამ ხუმრობასა და ჩოჩქოლზე საპირფარეოო ოთახიდან გამოვიდა გუნია—ოთარბეგი და რაკი შეიტყო რაში იყო საქმე, მივარდა ბოქაულს ფილიმონოვს და მკაცრად უსაყველურა სისულელის ჩადენა—გამოწყობილი მსახიობის პოლიციაში წაყვანა, ურომლისოდ წარმოდგენის გაგრძელება შეუძლებელია და თქვენც პასუხის გებაში ჩავარდებითო.

ვერ გასკრა გუნიას სიტყვებმა, ბოქაულმა იწყნა მსახიობის მკაცრი კილო და მკვახეთ უბასუხა: ჩუმათ იყავით, თორემ ამ ქართველ გლეხს ქართველ თავადსაც ზედ მგაყოლებო! ასეთმა „ქეშმარიტ რუსულმა“ უდიურობამ გუნია მოთმინებიდან გამოიყვანა და თავისებურად დაუღრიალა ბოქაულს: რაკი ასეთი სულელი (დურაკი) ყოფილხარ, მე ვასარგებლებ ჩემის უფლებით და, როგორც თეატრის ადმინისტრატორი, აქვე დაგამწყვდევე შენა და შენს წუნკლებს, სანამ შენზე უფროსი არ მოვაო! აბა, ბიჭებო, გადარაზეთ კარები და ახლავე პოლიცმეისტერს დამიძხეთ!—და ხმაღ-ამოდებული ოთარბეგი—გუნია წინ გადაეღობა ბოქაულს.

— Ишь ты, какой разбойничий атаманъ!.. — წამოიღულღულდა ბოქაულმა. აშკარა იყო პოლიცმეისტრის დაბარება არ ებიტნავა. მაშინ პოლიცმეისტრად ბათომში პოდპ. ჩიქოვანი იყო (ეხლა ჯარს სარდლობს



ოსმალეთის ასპარეზზე). მაშ კარგი, სთქვა ბოქაულმა, რაკი აგრეა, ეხლა თქვენებურად იყოს, მაგრამ ნურას უკაცრავად თუ შემდეგ ჩემებურათ შეგიდგენთ „პრატაკოლს“-ო და ვა сопротивление власти во время служебной обязанности პასუხის გებაში მიგცემო.

— რაც გინდა ისა ჰქენ, ოღონდ მოგეშორდი და წარმოდგენის დაწყებას ნუ გვიშლი, თორემ აღელვებული ხალხი ვა сопротивление к продолженію спектакля კუკუს ამოგკრავსო! მიიძახა გუნია და წარმოდგენაც დაიწყო სცენაზე გამოვიდნენ გუნია—ოთარბეგი და ბაშიძე—ბესო. წარმოდგენამ მშვიდობიანად ჩაიარა, რომლის შემდეგ იმ ღამესვე დასი უკან დაბრუნდა ქუთაისში. ხსენებული ინციდენტი ყველას დაავიწყდა.

გავიდა ოთხი თვე და ვ. გუნიას ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს, რომელშიაც პოლიციის წინააღმდეგობას და ბოქაულის შეურაცხყოფას აბრალებდნენ. დაიწყო გამოძიება, მოწმების ჩვენების ჩამორთმევა. სწორედ ერთი წლის შემდეგ ვ. გუნია წარსდგა ქუთ. საოლქო სასამართლის სესიის წინაშე ბათომში, როგორც ბრალდებული. გუნია თავის თავს თვითონ იცავდა. თავჯდომარეობდა ბოგოროდსკი, პროკურორად ვილაც ახალგაზრდა სტეპანოვი იყო. გუნია ბევრი აცინა სასამართლოს წევრნი ბოქაულის საქციელზე და თავის ტრადიკომიკურ მდგომარეობაზე, როცა ჩაკმულ და გრიმში გამოწყობილ მსახიობებს პოლიციაში მიათრევდნენ. სასამართლომ გაამართლა გუნია—ოთარბეგი და ბოქაული კი პირში ჩალა-გამოვლებული დარჩა.

ჭიტი

# შრომის სამეფოში

მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან \*)

I

გათენებას ცოტა უკლდა. მოწმენდილ ცაზე ღამის წყვილადს დილის სინათლე შემოჰპაროდა. ქალაქ X—სში ჯერ კიდევ გათენე-

ბამდე გაისმა ქარხნების საყვირთა ხმა; ეს ნიშანი იყო მუშების გაღვიძებისა და მუშაობის მოახლოებისა. ღამით მიწყნარებულ მიდამოს ახმაურება დაეტყო, განაპირა მუშათა უბანში—იღვიძებენ. იქ-აქ პატარა ოთახებში ლამპები მკრთალათ ანათებენ. იღვიძებენ მუშები და ქარხნებისაკენ მიეჩქარებიან.

მუშათა უბანი ერთ ნახევარი ვერსით მოშორებულია ქალაქს. მეტად უსუფთაოა ქუჩებზედ გაშენებულია სევდის მომგვრელი ძველი შენობები, სადაც ცხოვრობენ ოჯახობით მუშები. მუშათა უბნიდან კი ს.მხრეთით მოსჩანს მაღალი მთები, დასავლეთით ზღვა, შუაზე კი ლამაზი ქალაქი, თავისი საუცხოვო მორთული შენობებით, ეკლესიებით, მღაზიებით, ბაღებ-ფ და ქუჩებით. ქალაქის ჩრდილოეთით მდინარის ნაპირათ კი ვებერთელა ზაოდ-ქარხანებია.

მუშათა უბანში, ერთ პატარა ოთახში, რომელიც ორ-სართულიან შენობის ქვეშ არის, ორი ქალი ცხოვრობს: ერთი ქალაქა შერეული, ასე ორმოცი წლისა, მეორე კი ახალგაზდა. ოთახის მორთულობა უბრალოა; ორი ხის ტახტი, ერთი ძველი სკამი და მაგიდა. პატარა თუნუქის ლამაზი, საწყლე დოქი და ქედელზე ძველი ტანსაცმელები. ასეთი იყო მოწყობილობა პატარა, ვიწრო და ოღრო-ჩოლო ნესტიან ოთახისა.

საყვირების ხმაზე, ქალაქა შერეული ქალი ამდგარა, სანათი აუნთია, პირი დაუბანს მძინარე ახალგაზდას დასცქერის და ამბობს:

— მართლაც რა კარგია დილის ძილი! რძინე, მაგრამ ამის ნებას აღარ გვაძლევს საქმე, საყვირების ხმა ისმის და გვიძახიან. ოლია! ოლია! ოლია, გაიღვიძე, აღდგე!

ქალაქა შერეული ქალი მეტათ მოტეხილი სახისაა; თვალები ჩაღრმავებია, წელში მუხრილია, ხელები გაშავებია, სახე გაყვითლებია ტანზე ძველი ჩითის კაბა აცვია. ეტყობა ახ-

საკუთრებით გურიაში, ცნობილ მუშაკს. დაწერილ 1915 წ. თებერვალში, მხოლოდ 1916 წ. გადაწერილ რაოდენიმეთ შეცვლილი. ჩვენგან დამოუკიდებელ მიხვთა გამო, ეს მოთხრობა დღემდე ვერ ბეჭდა.

\*) ეს მოთხრობა ეკუთვნის მუშ.თა შორის, გან-



დიდი ხნისაა, მარა შრომისაგან გალახულა და სევდიანად იყურება.

— ოლია!— ხმა მალლა ეძახის მძინარეს: გაიღვიძე! კმარა ძილი!

ახალგაზდა მძინარემ თვალები გაახილა, დაღვერვით შეხედა ქალარას და ჰკითხა:

— რა დროა ეხლა?

— გათენებას ცოტა უკლია. საყვირების ხმა მოისმის, ადექი ჩქარა!

— მართლა! — გაკვირებით წამოიძახა ოლიამ და ძველი ქუჭყუიანი საბანი გადძრო, ბალიშის მაგიერ თავ ქვეშ დადებული ჩითის კაბა გამოიღო. იცვამს და თან ამბობს:

— ოხ, რა ცუდია, გამოუძინებლად აღგომა!

— ჩქარა ჩაიცვი, თორემ ხომ იცი დაგვაჯარიმებენ, გინე'ას დაგვიწყებენ, დაგვსჯიან.

— თქვენ დიდი ხანია გაიღვიძეთ, მართა?

— დიდი ხანია.

— მეც ეხლავე მ-ვემზადები.

— ადე, ადე ოლია!

— იცი რა სიცივეა მართა!

— რა დროს სიცივეა, გაზაფხული დაიწყო, შვილო, და გცივა?

ოლიამ ტანს ჩაიცვა, პირი დაიბანა, თმა გაისწორა და წასასვლელათ მოემზადა.

— წავიდეთ მართა!

— პური ვჭამოთ და წავიდეთ.

— მართამ მაგიდის ყუთიდან პური გამოიღო და შეუღვენ ქამას. ფეხზე ღვანან, პურს შეექვივიან და ზედ ცივ წყალს აყოლებენ. პურის ქამა გაათავეს, ოთახის კარები დაკეტეს და ჩქარი ნაბიჯით გასწიეს ვიწრო ქუჩისაკენ. თუმცა მარტის დასაწყისი იყო, მარა საკმაოთ ციოდა. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავებიც გამჭკალიყო და აღმოსავლეთის კიდური სისხლის ფრათ შედებილიყო, გაზაფხულის დილა ღებოდა. ქალაქის მიწყნარებულ მიდაროს სიციცხლის ნიშნები დასტყობოდა; ფაბრიკა ქარხანებში საყვირების ხმა გაისმოდა, ქუჩებში ეტლებისა და „დროგების“ ხმაურობა. შორიდან კი დრო-გამოშვებით ორთქლ-მავალი გაიკვილებდა ხოლმე.

ჩითის კაბებში გახვეულნი მართა და ოლია ჩქარი ნაბიჯით მიდიან და მილაპარაკობენ,

თანაც კანკალებენ, რადგანაც გაზაფხულის ცივი ნიაფი ჰქრის.

— დაგვიანებულვართ მართა! ეუბნება ოლია მართას.

— შენი ბრაღია, ადრე არ ადექი!

— რა უყოთ მერე, დაგვაჯარიმებენ, სხვას ხომ არაფერს გვიზამენ?— მოწყენით უპასუხებს ოლია.

— მეტს რას გვიზამენ. სულს ხომ ვერ ამოგვხდიან?

— ჯარიმა და ყვირილი, განა საკმარისი არაა?

— ასეა შვილო, ყველაფერი შევიწროება გვაქვს და ვიტანთ.

— არა' იი ჩვენი უფროსი ძლიერ ცუდი კაცია, გუშინ წინ ბევრი შეურაცხყოფა მომაყენა, დამაჯარიმა, მაგინა, დამემუქრა, — ადგილიდან დაგითხოვო სულ მუდამ მიცქერის მუშაობის დროს, ხელები არ შეასვენოსო. ნეტავ რას ელის ჯილდოს ხაზენისგან?

— რა უყოთ შვილო, ყველა გვიწყრება, ყველა გვაგინებს, მარა მაინც გაჩუმებული ვართ. ან რა უნდა ვსთქვათ? უბრალოზე გარეთ გაგვეყრიან და ულუკმა პურით დაგვტოვებენ. ჩვენი ბრაღია, ერთი მეორეს არ ვეხმარებით და არ უყურებთ.

— ხო, შიმშილს ყველაფერი ჯობია!.. ისინი ჩაფიქრდნენ..

— ძალიან მდიდარი ხომ არის ჩვენი ხაზენი?— შეეკითხა ოლია, ცოტა ხნის შექდეგ მართას.

— ხო, ძალიან მდიდარია, ჩვენს ქვეყანაში ტოლი არ ყავს. ფულებს მილიონობით ინახავს. ყველა ქალაქებში აქვს ქარხანები, მარა ჩვენ რას გვარგია შვილო!..

— ჩვენ არაფერს!— ამოიკენესა ოლიამ. თენდებოდა. ქარხანისაკენ მიმავალნი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ: სახე გამხდარი, მეტათ მოტეხილი ქალარა მართა და ასე ჩვიდმეტ თვრამეტი წლის ახალგაზდა ოლია. ლამაზი, მხოლოდ ფერ გამხდარი, შავთმიანი, შავ-თვალ-წარბა, ხელებ გაშავებული სევდიანი სახის, უკვე დაღლილნი და მოქანცულნი.

ისინი დიდ თუთუნის ქარხანის კარებს მიადგნენ. ქარხანა ახმაურებულა, ვებერთელა



ეზოში 'ქალები და მამაკაცები, ახალგაზდები' და მცირე წლოვანი ირევინი. მანქანების ღრინცელი აყრუებს იქაურობას.

მართა და ოლია, ჩვეულებისამებრ, განყოფილების უფროსს გამოეცხადენ.

— სად იყავით ამდენხანს? — წყრომით შეეკითხა უფროსი.

— ცოტა დაგვაგვიანდა, ბატონო! უპასუხეს.

— მაშ თქვენ მუშაობა არ გდომებიათ!

— როგორ არა. მეტს არ დავიგვიანებთ.

უფროსმა მრისხანე თვალთ გადახედა, შემდეგ ვითომც მოლბა და შებრალების კილოთი უთხრა.

— მეტი არ გაბედოთ! გაბატოებ. ეხლა დაადექით მუშაობას, გასწით!

მათ პასუხი არ გაუციათ, ხმა ამოუღებლივ მიიმაღნენ ქარხანაში.

ა. ჭუჭუისპირელი

(შემდეგი იქნება).



გიორგი სკ. ნდარ-ნოვა. (1850—1917) სახალხო მოღვაწე, თბილისელი სოცეხი, ხელობით მხატვარი, სწერდა ქართულად და რომხურად და თბილისის მდაბიო ხალხში დიდათ ცნობილი იყო, ცნობილია მისი კრებული „სახლინო საზ.ნდარი“ დაიბ. 1850 წ. მარტის 8-ში გარდ. 1917 წ. აპრილის 10-ში



ვალ. გუნიას ჯგაღმყოფობაში (ლადო გუღიაშვილის ნახატი ფანქარით)

ვ გუნიას

(ჩემი სპეტაკი სურვილი მშეგენიერ ხელაფანს)

— კვლად ატარე, მოხუცო, მრავლი წელი ღხენითა, არ მოგკდე სანამ ქართველ არ ნახო განხლებითა.

ტალღა

სამშობლოს

ბუღბული სატრფოს უაღერსებს, უწყობს შაირებს და მე კი აბა რა მამღერებს, რა მაშარებს, თუ არა შენი სიყვარული და შენი ტრფობა!?, კანთიადი! ას მზეს შეგცინი, მზეც იღიმება; მის ამოსე აზე ჩემი გულიც კვლავ ყვავილდება... თუ მე მოგკდე, მზეც მოკვდება, რადგან მან გამგვერ შეუუქარდი მხოლოდ თვალებს, მაყლისფერ თვალს

არის მოგონებაც ისე მაკრთობს და მაკანალებს. ვ თ ბნელ დამეშა ღრმად გათხრილი შვი საფლაქოი, სამშობლოვ, მხოლოდ შენთვის, შენსკენ მზერა შენს შავ ფიქრებში და საგმირო შენს სიმღერაში მსურს სამუდამოდ განვიხეწო... მოვიკლა თავი...

ვეფხო — ფშაველი



# გუშინდელი

კომედია 3 მოქმედებათ შალვა ჯაფარიძისა  
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 17)

3

**ჯიბო კვანტრიშვილი. დათია და  
კიდევ ერთი გლეხი.**

**ჯიბო.** (აივანიდან ხელების ქნევით შემოდის) ა, ბატონო, ა, არ გეუბნებოდით?.. ბატონებს ვახლავართ... როცა გვკვირდება, მაშინ კაცი აქ არ გვყავს... ჩვენს გაკვირვებას პატრონი არ ყავს და გამკითხავი...

**გლეხები** (თავს იქნევენ)

**კოწია.** რა იყო, რა ამბავია, ჯიბო ჩემო?

**ჯიბო.** რაღა რა ამბავია, ბატონო. აგერ ყურის ძირში ვეზდი ნახალიკი ჩამოსულა და ჩვენი მამასახლისი სადაა, ეშმაკმა იცის...

**აგრაფ.** თქვენი მამასახლისი, ბატონო, ისევ თქვენ საქმეზეა წასული.

**ჯიბო.** ბატონო... ჩვენ საქმეზეა.. რაღა გაწყენიო, ბარიშნა, თვარა... სადაა ჩვენი საქმის პატრონი... რაც მამა შენი ვეირჩიეთ, ჩვენი საქმე სულ უარ და უარ წევიდა... ეკლესიის საქმე იყო, გაკეთება გვინდოდა... პრიგავორი დადგენილი გვაქ, ბოლო არ მელო, ბატონო ამ საქმეს... ვითხოვეთ, ბატონო, მშვენიერი ადგილი გვაქვს, აგერ ძველი ნაეკლესიარი, ციხე-ბურჯთან, სოფლის შუა-გულზეც არის, დასამზრობი და ყველაფერი, მაგრამ არ იქნა და არა, სასულთნიერო მთავრობისგან ნება-რთვა ვერ მივიღეთ...

**ფოფ.** (ყურს მოკრავს) მაგაზე არ არის ახლაც ჩემი მღვდელი გადავარდნილი?..

**ჯიბო.** კეთილი ხუცესია, ვინ ამტყუნებს, ბატონო, მაგრამ ჩვენი გამკითხავი კი არავინ აღმოჩნდა და... ახლა სასწავლებელი იყო და ყველამ იცით რა მდგომარეობაშია იც არის. დაკეტილია და გამოყრუებული... ცოტა მშვენიერი ბაღიც გვქონდა, სანერგებო, პატარა წოფლის მუშაობასაც ასწავლიდნენ ჩვენ ბიჭებს, სულს ვითქვამდით. მარტო ვაზის დამყნობა რომ ისწავლეს, ამერიკული ვაზის, ის რათ ღირდა, ან ჩვენმა ქალებმა ყაქის მოვლა რომ ახლა წესზე დააყენეს...

დიდი შეღავათი იყო, ბატონო, ჩვენი სოფლისათვის ეგ სასწავლებელი, დიდი რამე,

**აგრაფ.** დალოცვილო, მაგ სასწავლებელზე აბა როგორ ლაპარაკობთ?... თქვენი ბრალი არ არი?.. აუტყდით მამა ჩემს და მის მოგვარებებს... დანოსი დანოსზე... ცხვირწინ აქვთ სასწავლებელიო.

**ჯიბო.** ბარიშნა, აბა რაღა გინდა?.. სოფელი, ბატონო, ჩემკენ იზრდება და იქით ესახლება ხალხი... არ ამევიდა, ბატონო, ამ ხრიოკზე ე ხალხი და რაღა ხოჩიო ახლა?

**ადიკო** ეგზ მოსაწყენი ამბავი დაიწყო... წავალ, გავისერიებ. კნიაუნა ფაცია, თვეწ არ წამოხვალთ?

**ფაცია.** (შეხედვს და გაუცინებს) რა, სულელი ხართ, ღმერთო ჩემო!

**ადიკო.** (სეფს ჩაიქნევს. კიბეზე ჩადის)

ზ

**კეკელა და პაკუნა.**

**კეკ** ოო, ეს ვინ მოსულა?.. ჯიბო, კარგია გაგხსენებდით.

**პაკ.** მაგას კარგი საქმისთვის არ გავახსენდებოდით, ნუ გეშინია...

**კეკელა.** ნიფადორა, გენაცვალე (საჯამი, კოცნა) შენი ნახვა მამა სწორეთ. ძვირი სტუმარი ხარ..

**ჯიბო.** (ვახუნას) მეტად განაწყენებული ვარ, შენ არ მომიკვდე. სად არი ეს ჩვენი მამასახლისი?

**აგრაფ.** ჰო და აი თუ მართლა მაზრის უფროსი მოვიდა...

**ჯიბო.** მოვა ბატონო, აბა არ იცი? აგერ ყურის ძირზეა, კნ ჩიტუნია ბრძანდება.. და რომ არ მევიდეს, თვითონ წავალ, ბატონო, დოუჩოქებ და ვთხოვ, რომ მობრძანდეს...

**აგრაფ.** ჰო და ის მინდოდა მეტქვა. აი, რასაც ახლა აქ ამბობდით, სხვას რომ ემდურით, მოუყოლეთ უთხარით იმ მაზრის უფროსს.

**ჯიბო.** ეჰ, ბატონო, მე ერთი უბირი გლეხი ვარ, სად შეიძლია დალაგებით ლაპარაკი, ან ვეზდი ნ. ჩალიკის შესაფერი სიტყვა-პასუხე ვინ მომცა, მარა აგერ, ბატონო, ნასტაული მამასახლისი გვყავს არჩეული და ახლა მაინც უნდა გამეჩინოს ფხა, მხოლოდ



სადა ი ოჯახ-აშენებული შვილი... დაგვ-  
ლუპავს ნამდვილათ, ყელს გამოგვექრის..

**კეკ.** რას ამბობ, აგრაფინა-გენაცვალე...  
მაგას რომ ასე ეუბნები, მამა შენი რა?.. ენა  
არა აქ თუ მიხვედრა?

**აგრაფ.** არა, მე იმას ვამბობ.. რა კი  
სხვებს ისე ემდურებიან, არაფერს გვიკეთებენო,  
აღგნენ და თვითონვე მოახსენონ..

**ჯიბო.** არა, თუ მაინც მაინც მაგაზე  
მიდგება საქმე... ვეტყვი, შენ მომიკვდე, აბა  
არ ვეტყვი?! ჯერ მინდა ყველაფერი კალო-  
ნიერი გზით წვეიღეს და თუ არაფერი გამე-  
ვიდა.. წავალ, დევეჩოქები... და თუ წამევი-  
და... ჩემ გზაზე არ უნდა გამეიაროს?.. და-  
ვბატონებ სადილათ და ყველაფერს მოვახს-  
ენებ...

**პაპ.** ოჰ, სადილათ თვარა.. შენ რომ  
პრიბოლებს გოუშლი... შენი ყვიციანი სა-  
დილი ვის უნდა?

**ჯიბო.** არა შენ არ მომიკვდე... რავა!  
თუ პინტრიშაძეებს თავი მოგაქვთ, ჩვენც ქე  
ვართ კენტრიშვილები ჩვენს პირობაზე... აა,  
ხელს არავის არ დავაკარებოებთ.. სადილი..  
ვაი დედასა!.. ისეთი ქეიფი გოუმართო, რომ  
სულ ერთ კვირას ვარხალალო ვაძახო...

**პაპ.** ოჰ, ოჰ! ნამეტანი ნუ გამეიდებ...  
სადილს შენ ვინ ვაგამართვიებს, ყახახო...  
თუ მობრძანდა, ჩვენსას მობრძანდება და სა-  
დილიც მამასახლისმა უნდა მიართვას..

**არაფ.** კარგია ახლა, სადილზე ნუ წაი-  
კიდები... სადილი საცა უნდა იყოს... სულ  
ერთი არ არის?

**კეკ.** გენაცვალე, აგრაფინა, სულ ერთი  
როგორ არის?

**აგრაფ.** ბატონო, თქვენ ეცადეთ რო-  
გორმე მოიყვანოთ და თუ მართლა სოფლის-  
ათვის გული შეგტკივთ, ყოველივე დალა-  
გებით აუხსნათ, უჩვენოთ, გავაგებინოთ...

3

**ჯვებე ქილორდავა** ღამაში და მოხდენილი  
„სტრახნიკი“ შემოდის წაწვნით და ჰჩანკვა-  
გრესვით.

**კეკ.** ეს ვინ არის?

**„ფოფ.“** (სიამოვნებით შეკრთება ღამაში  
კაცის დანახვაზე) უჰ.

**ფაცია**სა და **აგრაფინას**აც ეტუობათ მოყ-  
წონათ მოხდენილი გაუკანდი.

**ქილორდავა** (ცოტა შეგრუჯათ უქტევს) მა-  
მასახლი აქ რომელია?

**კეკ.** მამასახლისი არ გახლავს ბატონო,  
სახლში.

**ქილორ.** არ არი სახლში?.. მე ვეზდი-  
ნაჩალიკმა გამოგზანა: კანცელიარიაში არ  
მიბრძანდება, პირდაპირ აქ მოვალო.

**კეკ.** უი, ღმერთო მომკალი, ჩემი მალ-  
ხაზა სად არის ახლა?

**პაპ.** ჩემო რძალო, აბა უნდა დავფაცურ-  
დეთ ახლა. მე გავარდები და ერთ უშო-  
ბელს მაინც მევიყვან... (გაზბას)

**„ფოფ.“** სადაა ახლა ი დაღუპული ჩემი  
მღვდელი.. სულ იმას ამბობდა უეზნაჩალ-  
ნიკი თუ მოვიდა, უნდა შეგვხედე და სიტყვა  
მოვახსენოვო.

**ჯიბო.** აბა, ბიჭებო, ახლა გვმართებს  
დაფაცურება. რაღაი აქ მობრძანდა...  
რა ვქნათ, იყოს, მარა მთელი სოფელი  
უნდა მოვაგროვოთ აქ... ის ოხერი პოპოშ-  
ნიკი მაინც მოვძებნოთ, გაიქეციოთ, გაიქეციოთ  
ახლავე... (გაზბას, სხვებზე მიჩქვებთან.)

**კეკ.** (შეაჩუკებს დათიას) შენი ქირიმე  
დათია, თავიანი კაცი ხარ.. ხომ ხედავ რა  
დღეშია ც ჩავდექი და შენ იცი სოფელს რავა  
დაამზადებ... ჩემი ქმარი უთუოდ გეიგებდა  
და საცაა გაჩთება.

**დათია.** შენ ქმარს ძან ვემდური, მარა  
ახლა რა გეეწუობა... შენ ნუ გეშინია, ქალო  
ისე დავტრიალდები, რომ.. მართლა დვინო  
ხომ გაქვს...

**კეკ.** არა, მაგისი ნუ გეშინია. ხორაგი  
და დვინო საკმაოთ არის.. სოფელში, სოფე-  
ლში, სანამ ჩემი ქმარი მოვიდოდეს..

**დათია.** (მიდის) კარგი, კარგი! (გადას)

**კეკ.** ღმერთო მომკალი სად ჯანაბაში...  
ჩარჩა ის კაცი... აბა, ნიფადორა, შენთან  
ბოდიშს აღარ ვიხდი.. ხომ იცი, უნდა გან-  
კარგულება გავცე. (ქილორდავას) უკაცრავათ  
დაბრძანდი, ბატონო..

**ქილორ.** მაღლოფ.. რა მიჭირს!  
**„ფოფ.“** (გეკეფას) რა ბოდიში გინდა,  
ბეჩა, წადი გენაცვალე, წადი.

**კოწ.** ფაცია-ბოშო, შენც გაყევი, ღო-  
უტრიალდი კეკელას.



**კეკ.** (შემაჯავლი) არა, გენაცვალე, ჯერ არა და მერე... მერე აი სუფრის დალაგებაში და სტუმრების სამსახურში აგრეთვე ასთან ერთად თუ მიშველის, გადაუხდის სამაგიეროს. (გადას).

**კოწ.** რაფა არ დაგეხმარება...

**ფაც.** კი, ბატონო, კი.

**აგრაფ.** ახლს აირია მონასტერი. მამა ჩემიც აღარ არის და...

**კოწ.** წუხელ სად იყავით, ძმობილო?

**ქილორ.** კენისასთან, ბატონო.

**კოწ.** მერე ასე მალე გამოგიშვით კენინამ? ძალიან გაქვიფებდათ...

**ქილორ.** (ეშლება) ქო... კი ბატონი... დიდი ფანიით მოდიან. პრისტავი ჩალიან-ც გახლავს, ჩვენი სტრაჟნიკი კნიაზი გორგასლანინი, ორი სხვა კნიაზიცაა... საქეფოთ მობრძანდებიან... კანცელარიაში იმიტომ არ მიდიან...

**კოწ.** შენ მეგრელი ხარ?

**ქილორ.** (ეშლება) ქო... კი ბატონი...

**„ფოფ.“** (ახლას გაუფლის და შედიმილებს რა გქვია.

**ქილორ.** ჯვებე ქილორდავა.

**ფაცია და აგრაფინახ** (სიციხი წასკდებათ)

**ფოფ.** რა გაცინებთ?.. გავისკდათ მიწა...

**ქილორ.** და კოწიაც (იციხიან).

თ

კარლო და ადიკო

**კარლო.** (დახარაკით შემოდის) კაცო ასე აბა როგორ მიაგდე ის წიგნები?.. შენთვის ფასი დაუკარგავს, მაგრამ ჩემთვის ხომ ძვირფასია... (დაინახავს იქ შეფეთ) ოჰ, უკაცრავათ... (თავს უკრავს) ვახლავართ. (ვისაც არ უნახავს). გამარჯვებათ.

**ადიკო.** აი, ძმავო, შევიდეთ და მოსძებნე. მე მაგისი თავი არა მაქვს... რა დროს მარქსია ახლა?

**კარ.** (დაცინვით) მაშ ეხლა სპორტი, გიმნასტიკა, ა?

**კოწ.** გაიგეთ, კარლო, უეზდნი ნაჩლონიკი რომ მობრძანდება?

**კარ.** (გულის კარვით) ჰო, მითხრეს...

**კოწ.** მერე, რას აპირებთ?

**კარ.** რას უნდა ვაპირებდეთ... ხომ არ დავიშალე და...

**აგრაფ.** არა, ეგ არა და მართლაც... აი სწორედ თქვენ უნდა უთხრათ თქვენი სოფლის გაქირვებაზე რამე...

**კარ.** (ანკე-დანკეღვს აგრაფენას) მთავრობისგან მე არას დროს სიკეთეს არ გამოველი...

**ქილორ.** (ვერ გაიგო კარვით, მაგრამ ერთს თვალებს შეანათებს).

**კარ.** წამო, ადიკო, აბა მიჩვენე სად გიძევს ჩემი დამტვერიანებული მარქსი. (ადიკოსთან ერთად შინა ოთახებში შედის)

**კოწ.** დალუბული კაცია... მაგისაგან რას უნდა გამოველოდე?

**აგრაფ.** (ნელა ფაცის) რა ნიკიერი ყმა-წვილია და როგორ მოწყვეტილია ჩვენ სოფელს. (ამასობაში „ფოფოდა“ რადსაც ელახანაკება ქილორდავას. ქილორდავა მის წინ გაქიმული დგას და ხასუხს აძღვეს, თან უფლებებზე სოცკერ ხელს გადაისვამს, თავს აწონებს.)

ი

**კოწიას კენინა,** (გამხდარ-გამსღარი, აწოწილი, ღრთიულათ თაღებში გამწობილი. ნელი მორიდებული ხმა, თუმცა ხასიათი მტკიცე. შიშობთავს კოწიას და ფაცის). ოოჰ, აქა ხართ?... მადლობა ღმერთს!.. სულ სირბილით მოვიდილოდი... რა არი, ფაცია, ეს რა რუბაშკა გაცვია... მეორე ვერ ჩაიცვია... წადი, ე პრიჩოსკა რას გივავს... დედა, დედა, რა მეშველებს. მოდიან, მოდიან ვერ ხედავ?

**ფაცია** (ამაყით) მოვიდნენ რა, ასე დახვედ რა შეიძლება?... რომ შეგაშინა, დედა, რა იყო?

იბ

**კკკ.** (შეშოვარდება) მოდიან, მოდიან!

ივ

**ბიჭი** (შეშოვარდება), მოვიდნენ ქალბატონო, მოვიდნენ.

**კეკ.** (ბიჭს) ჰო და აქ რას მოდიხარ... გასწი, ცხენების ჩამორთმევაზე მოეხმარე... (ბიჭი გაბის). რაღა ექნა, ღმერთო ჩემო... (შავიდან მივარდება თითქმის რადსაც აწოწრებს).

**კოწია.** უნდა მივეგებოთ... (საჩქაროთ გადას).

**აგრაფ.** კარგია, დედა ჩემო, ახლა ნურც



ასე დაფეთდები... აღამიანები არიან, სხვა ხომ არაფერი...

კეკ. ახა ღმერთო.

კნენია. ეს მაინც გეისწორე ფაცია გენაცვალე, დედა. დედა რა მეშველება!

ფაცია. კარგო, დედა, რა შეშინებულნი ხარ, რა იყო?

კნენია. დედა, დედა, რა მეშველება!

„ფოფ.“ გენაცვალე, აგრაფინა, ხომ ყველაფერი რიგზე მაქვს? ამოიღებს რიდიკაულიდან ზუღრს და სატყეს და ირთვება.

გარედან { კნ. ჩიტუნასი: მაშ როგორ გეგონათ, ელტურდერაზოვიჩი!.. ხომ მშვენიერი ქვეყანაა?! მასწის უფროსი: это одинъ восторгъ княгиня!

აგრა. ახა ახლა კი მივეგებოთ.

კეკ. (თითქმის ტირილის ხმით) გენაცვალე, აგრაფინა...

კნენია. დედა, დედა რა მეშველება!

„ფოფ.“ (შფოთავს) უპ, ღმერთო, საღ დაიღუპა ი-მღვდელი.

ფაცია. ბეჩა, რა ამბავია... რა დაგემართათ, სტუმრები მოვიდნენ, სხვა რომ არაფერი... (უგუჯანი ჩამომწკრივდება აივნის ახლო)

იღ

(კნ. ჩიტუნია ღამაზი, მოხდენილი ამაზონით, ქუდი და „სლისტიოჲ შემოდის უგუჯაზე წინ.)

კეკ. (მიუგებება) უპ, კნენია, გენაცვალე. (მოუხევევა).

კნ. ჩიტუნია. აბა, ჩემო კეკელა, როგორ გიკითხო?... ოპ, აგრაფინა!.. „სუფს ანთმეგს) ოო, ჩემო ფოფოლიაც... дорагая племянница...

იღ

მაზრის უფროსი (ახლოვდება კაცი, სტატსი სოვეტნიკის ჩინით ბრტე შესახედაობის) მას მოჭეუება: პრისტავი ჩაღინაი, თ-დი კაწია, სტრაჟნიკი თ-დი გარგასღანი, ქილორ დავა, ჭობო ზაზუნა, სტრაჟნიკები და გლეხები

კნ. ჩიტუნია. позвольте, едуардь ед-арович ховайна ея доч поподаея князь нуция его супруга, княин ихъ дочь. моя милая племянница, знателиа пація

მაზრის უფროსი (უგუჯას სათითად ხელს ანთმეგს და ეუბნება თავს ტვარს გრენგოლან

კნ. ჩიტუნია. ეს კი ჩვენი ნაჩილნიკი... (კეკელას, კნენიას და „ფოფიას“) ქართული მშვენიერათ იცის... ნუ შეგეშინდებათ!.. ჩენ-შია დაბადებული და გაზრდილი... დედაც ქათველი ჰყავს... გვარი საქვს ლემენცური, მაგრამ это не въ счет обонемента... и тот ви даваитеа стой прогукой?

მაზრის უფროსი. одинъ вострог, княгиня.

იღ

კარლო და დიკო. (შემოვლენ და ამ სურათზე შედგება)

აგრაფინა (წარუდგენს) ეს ჩემი ძმა გახლავთ. (ადიკო და მაზრის უფროსი ერთი მუთხეს შერიდნ თავს უკრავენ) ესეც ბ. კარლო ყუყუტაძე.

კნ. ჩიტუნია. აპ, კარლო? რამდენი ხანია არ მინახავს... (მაზრის უფროსს) ეგ ჩვენი სოციალისტია... легальная... (კარლოს) რომ არ მიწყობით?

კარლო. (უფაჟაშეში მწარეთ გაიღივებს)

მაზრის უფროსი. (მიახედება კარლოს) это тоже одинъ вострг княгиня.

ფარდა

შალვა და დიანი

(გაგრძელება იქნებე)

### ვალერიან გუნია,

როგორც ქველმოქმედი და აღმზრდელი ახალ თაობის.

ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის 1905—6 წლების რევოლუციის დესპოტიურ შეფისა და მის უსამართლო წესწესებების მოსიუგარულე მონარქისტების წაღობით, სუფს დაფაჟდა და რეაქციის ფენის იკიდებდა.

ამ დროს მე, გადასახლებული, დიმიტრის ციფ ქვეყნებიდან ჩამოვიპარე და ჩემს სამშობლო კერას შევაფარე თავი.

საარსებო ლუკმა პურისთვის, იძულებული ვიყავი სადმე რანაირივე საქმე მეშოვნა და თავი მეჩინა.

ამ დროს ქაღაქში დიდი უსაქმიანობა იყო და არსად არავითარი ადგილ-სამუშაო არ იშოვებოდა.

ჩემს უსაქმიანობა-გაჭირვებას არავის არ ვუ-



მალაგლი და ყველა ჩემს ამხანაგს ვთხოვდი, რომ სამუშაოს შიშში დამხმარებოდნენ. მათ შორის ვალერიან გუნიასაც შევხიფვე ჩემი მდგომარეობა.

ამ დროს ვალერიან გუნიას სტემდა ჟურნალ „ნიშადურს“.

ჩემს განცხადებას ვალერიანი დიდის თანაგრძობით შეჭხვდა და მითხრა: „თუ გინდათ ჩემს ნიშადურს“ გადმოგტეკეთ და იმუშავეთ“. ამ სიტყვებთან ერთად გუნიამ ერთი თუმანიც წინდაწინ მომცა, სანამ მუშაობას შეუდგებოდა, როგორც გაჭირვებულ კაცს. რამდენიმე დღის შემდეგ ჟურნალიც ჩემს ხელში გადავიდა და შეუდგაქვი კიდეც მუშაობას. გუნიას ასეთი ქველ-მოქმედება ჩემდამი, მე წითელი სტრუქტურებით აღვბეჭდე და არასოდეს ამას არ დაგივიწყებ.

ეს იყო 1907 წელს.

აქედანვე უნდა ჩაითვალოს სამწერლო საბიუროს გამოსვლა სანდრო შანშიაშვილისა, იოსებ გრიშაშვილისა, იოსებ მჭედლიშვილისა და სხვების.

მკითხველმა საზოგადოებამ კარგათ იცის, რომ ზემო აღნიშნული მგოსნებს 1907 წლის არაფინ არ იცნობდა. ისინი მხოლოდ 1907 წლის შემდეგ გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზედ გუნიას „ნიშადურით“ და ხალხს ეცნობებინა. არა, ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ თუ გუნიას „ნიშადური“ არ ექნებოდა, ისინი ამ დღედ საქმიანობას ვერ მიაღწევდნენ. შირიქით, ზესთა ბუნებრივი ნიჭი მათ ვერ შეეკავებდა და, ადრე თუ გვიან, ისინი იფეთქებდნენ, მაგრამ მხედველობაში მისაღება ის, რანაირად ვ. გუნიას მათ ხელს უწყობდა და ახალისებდა, რაც სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ამ მხრივ არასოდეს არავისთან თვა არ უსახელებიათ. გუნიას „ნიშადურზე“ დამსახურებული მწერლებიც კი მოეხადნენ, რაც უფრო ხელს უწყობდა ახალგაზდების საქმიანობას აწიქოს და მომავალში.

გუნიას „ნიშადური“ თავისთავად დიდს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ, სიტუაციის სრული მნიშვნელობით ვიტყვი, რომ ის იყო თავისუფალი ზრესა, რომელშიც ყველა ჟურნალის ხალხი იღებდა მონაწილეობას და ვის არ გინდა, რომ იქ არ შესვდებოდათ — ვალერიან გუნიას ხასიათზედ იყო მოწეობილი. ვალერიანის ზრინციში იყო — ხალხში

მეტი შეტევა განათლება შეეტანა და ყველასთვის თავისუფალი სიტუაციის თქმის სახსარი მიეტა. ის ასეც იქცეოდა. ყველას თავისუფალი სიტუაცია მიანიჭა და ამ თავისუფალ სიტუაციაში კი მას მალაგლის გარდა, არა ნაკლებ სიმძულვარეც კი მოუზავა. შირადათ თუ წერილობით, ათასს უკადრის სიტყვებით უმასხინძლებოდნენ ვალერიანს. მე თვითონ ვიყავ ამის მოწევი; ერთხელ ვალერიან გუნიამ უბიდან ჩემსადურის ნომერი ამოიღო, რომელიც კი იმ დღეს ბათუმთან ფოსტით მიეღო, ვიდაც უსახელო უცნობისაგან. ამ უცნაურ აღმანიას ათასი ქუჩური გინება დაეწერა გუნიას მიმართ. ვითომ იმას უსაყვედურებდა, რომ სხენებულ ნომერის ერთი გვერდი ცრუდათ იყო დაბეჭდილი და ასე რათ არის დაბეჭდილი. მე კი ვიტყვი, რომ ფაქტური მიზეზი ეს არ იყო: გუნიას და მისი „ნიშადური“ ქართველ ხალხთა ფართო ინტერესებს კმსახურებდა. სამშობლოს ჭირ-განაში გუნიას საკუთარ ჭირ-განათ მიანიჭდა და ამასედაც სწავდა. რა თქმა უნდა, ასეთ წერილის კიდე ბეგრს არ მოსწონდა და იღანძებოდა.

ერისა და სამშობლოზე გამოსახლება, მე მგონია, არავისთვის არაფერი დანაშაულია! მთელს დუნაზედ არ მოიბაება ისეთი აღმანი, რომელსაც თავის ქვეყანა, სამშობლო, არ უყვარდეს. ვინც გინდა იყოს დანაშაირი ზარტის სახელის მატარებელი! თვით ამ წერილის დამწერი ინტერნაციონალისტა, მაგრამ საქმე რომ იყოს შირველ სიტუაციას ისევე ჩემს ერს, ჩემს სამშობლოს ვაკუთვნიებ!

განა ეს მე დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს?!

და ასე, შე თამამად შემოდან დავუხოწმე გუნიას ის ფაქტი, რა აღმხედლობაც მან გამოიჩინა ზეგით აღნიშნულ ახალგაზდა მგოსნების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაში.

ვინ იცის, კიდეც რამდენი ჭეყანა გუნიას ასეთი აღდეგებები, რომლებიც კი, აღვიდა შესაძლებელია, ჩვენ არ ვიცით.

კოლა გულიაშვილი.



(ქოლა გულიაშვილი)



# ვალერიან გუნიას!

დაულალავეო მოღვაწევ!

ძვირფასი ხარ ქართული თეატრისთვის, სავაზრდო ხარ მშობელი ერისთვის.

დიდი დეაწლი დასდევ სამშობლო სტენას, ერთგულად ემსახურე მშობლიურ მხარეს.

ქართული სტენა, დრამატურგია, ხელოვნება, ზუბლიცისტიკა, — აი ის მრავალი დარგი, სადაც შენ მიგვიდგის მთლიანი და დაგვირგვინებული დეაწლი მთელი ხანგრძლივი მნ წლის განმავლობაში.

ვაშა შენს დაულალავ ენერჯიას, შენს მრავალ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

დღეს შენ ზირნათლად ვალ-მოხდილი ხარ შენი სამშობლოს წინაშე, მაშ მიიღე ჟილდოდ შენი ერის მთლიანი მადლობა და თანაგრძნობა.

მიიღე ჩვენგან — გორის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე-მოსამსახურეთაგან ჩვენი თანაგრძნობა და მასთან მტკივნეული წყლილი \*)

მტკივნეული იგი, მაგრამ გულწრფელად მოძღვნილი.

მიიღე ზირნად ჩემგანაც სულამი პატივისცემისა და წრფელი სურვილი შენი ხანგრძლივი და ბედნიერი სიცოცხლისა.

შენს ზირნად დღესასწაულთან ერთად მომილოცავს დღესასწაული და ბედნიერება შენის ერისა!

მომილოცავს დიდი რუსეთის განახლება და ამ განთავისუფლებულ რუსეთში შენი პაწია სამშობლოს აღორძინება და აყვავება!..

ჯაფარ-ფაშა

## სახალხო თეატრის ისტორია

(მასალები)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 17)

საქმე გათავდა „წრის“ გამარჯვებით. სახალხო სახლი კოტე შთარიშვილის ჩაბარეს და ბურთი და მოედანზე წრეს დარჩა.

\*) ფული მნ მან. და შემომწირველთა სია ეგზავნება: მხანავ ტურაშვილს, ხაზინდარს საიუბილეო კომისიის სას.

უნივერსიტეტის სექციამ უბინაობისა გამო შესწავლია წარმოდგენები, მხოლოდ 1911 წ. 15 იანვრიდან ხელახლა განაგრძო ავსტლის აუდიტორიაში.

ამ ბრძოლის გათავების შემდეგ კოტე შთარიშვილის მეოხებით სახალხო სახლი „წრემ“ დაისაკუთრა და როდესაც შიგ კარგათ გამაგრდა, ღიარც შთარიშვილის საქმიელო მოიწინა და მის მაგივრათ რეჟისორობა ნიკო გლცირიძეს ჩააბარა. მას მერე მოწვეულ იქნენ ახალ რეჟისორებად: შალვა შარაშიძე, შემდეგ ბუღუ მდივანი.

აი მოკლე თავგადასავალი სახალხო წარმოდგენებისა ავსტლის აუდიტორიიდან მოყოლებული ზუბადაშვილის სახალხო სახლამდის.

ახლა გადავიდეთ ავსტლისაში გამართულ წარმოდგენებზე.

1902 წ. შტაბს-კაპიტანმა ნიკოლოზ მურაშკომ, თავისი შერობაში ზეტრე-ხაფელს მოედანთან, თელავის ქუჩ., ააშენა პატარა თეატრი, რომელიც იტევდა 200 სულამდის. თეატრი დამასად იყო აშენებული და ეგულაფერით მოწოდებული. ეს თეატრი აკურთხეს 16 ნოემბერს და ამჟამ დღესვე დაიდგა რუსულ-ქართული წარმოდგენა ქართულ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ქართულ თეატრის არტისტებმა. წარმოდგინეს იმე მინდა კნეინა გავხდე.ა

მურაშკოს თეატრი ჯერ არც კი იყო დათავრებული, რომ ავსტლის ძველმა სტენის მოეგარებმა დიდი ყურადღება მიაქციეს! ელოდნენ დროს თუ როდის მოუხდებოდათ მათაც თამაში.

და აი სწორედ ამ კურთხევისდღესვე შესდგა სტენის მოეგარეთა ამხანაგობა ბესო მაისურაძის, ვანო იმედაშვილის, ლევან ზოდოსოვის და ვანო მჭედლიშვილის მეტაურებით და მორე დღესვე გამართეს წარმოდგენა. დაიდგა „პეპო“ და ერთ მოქმედებიაში ვოდვეილი „დატრიალდა ჟარა“ მონაწილეობა მიიღეს ქნ ვარშაკიძე, გულაზინმა და ბარბაქაძემ. კაცთაგან ვ. იმედაშვილი, მადაროელი, ნონიკიანი, ზოდოსოვი, გაბოშვილი, მოსულიშვილი, ბესო მაისურაძე, სუფლიორად იყო აღექსანდრე ბაჟიაშვილი, რომელიც დღევანდელამდის მუდმივ სუფლიორათ ითვლება. ადგილების ფასი დანიშნული იყო 90 კპ. ამ დღიდან დაიწყო სისტემატიურათ წარმოდგენების დადგმა, როგორც ქართულად ბერეთვე სომხურად და რუსულათაც.

ჯ-ფ-შა



მეორე წარმოდგენა „რატ გინსხე ველარ ნა-  
ხავა და რტკუისა მჭირსა წარმოდგენასე სტენის  
მოყვარეთა რიცხუს მოქმეტენ რამონას სხვა-  
უასი, ხვთასი, ღვეან ბადაშვილი. ამ დღიდან კი  
მოწვეულ იქმნა რეჟისორად იოსებ იმედაშვილი  
(ხაშქელი), რეჟელიც კარგახანს თაოსნობდა ავ-  
ლაბრის სახალხო წარმოდგენებს და თითქმის  
მთელი ორი სეზონი მის ოჯახში იმართებოდა  
რეპერტეები. ამ წელს იანვრის კასკლავიდან გა-  
იმართა სულ კიდევ 4 წარმოდგენა და სტენის  
მოყვრეთა რიცხვსაც თანდათან მოქმეტა: ქ-ნი  
აფხაზიშვილი, სკუვარდიძე, გორელი არაგვის-  
პირელი და თამარინი. კაცთაგანი: ივრისპი-  
რელი, (ძმა იოსებ იმედაშვილის) მოსეშვილი,  
და ნათაძე. გათავდა სეზონი.

1903 წელს კვლავ განაგრძო ამ ამხანაგო-  
ბამ თავისი მოქმედება და გამართა 9 თებერვ-  
ლამდის 4 წარმოდგენა. სტენის მოყვარენი თან  
დათანობით ემატებოდნენ ქალებში: ქ-ნი მაკა  
ქართველიშვილი და კაცებში. ბ. მოსეშვილი,  
კოლა შეტრეველი, მედაშვილი, იოსებ რევაზაძე  
და ექვლავიძე ძველი სტენის მოყვარე გიგო გე-  
ლიაურაშვილი.

ამ შემოთ ჩამოთვლილ წარმოდგენებსედე  
ხალხი ცოტა ესწრებოდა, რადგანაც ჯერ მოთ-  
ხოვნილებათ არა ჰქონდათ გადაქცეული და თავი-  
სუფალ დროს უფრო სხვა გასართობებს და ღო-  
თობას ანდამებდა. არამც თუ ქართულ წარმოდ-  
გენებს, თვით სომხურსაც, მიუხედავთ იმისა,  
რომ სომხების უბანია, იმასაც ნაკლებათ ესწ-  
რებოდა. ამის საბუთი ის არის რომ სომხების  
სტენის მოყვარე გეუქ იფრემიანმა ერთხელ თა-  
ვიანთ წარმოდგენასედე კასიდან 29 მანეთის და  
60 კ. ბილეთები იყიდა, დაურიგა ქუჩაში გაშე-  
დედ გამოძლეს მუქათ, რათა ნელნელა შეჩვი-  
ხალხი სახალხო წარმოდგენებისთვის.

ისე რომ ქართული წარმოდგენებიც „დე-  
ფიციტი“ თავდებოდა, რომელსაც თვით სტე-  
ნის მოყვარენი ისდიდნენ) უმეტესად იოსებ იმე-  
დაშვილი) თავიანთ ჯიბიდან. ამდენ ზარალის  
თავიდან ასცილებლად ამხანაგობაში გადასწვი-  
ტეს, ბილეთები ქარხნებში წაქვითეს ეს მოვა-  
დეობა ღვეან ბადაშვილმა იკისრა, რომელსაც  
დიდათ ესმარებოდნენ ხელისუფლები გიორგი რაზ-  
მაძე და ვანო ქურთიშვილი.

გ. ჯაბაური.

### წვრილი აგავი

3. გუნიას 35 წ. განმავლობაში უთამაშნია და  
მონაწილეობა მიუღია სულ უკანასკნელი 1.500 წარმო-  
დგენაში. წელიწადში დაახლოვებით ზამთარ-ზაფხულ  
უთამაშნია 50-ჯერ. უთამაშნია 870 პიესა სხვა და სხვა  
სახელისა და ხასათის, ხოლო სხვა და სხვა როლის  
როდენობა აღმატება პიესების ს მრავლეს, რადგანაც  
ზოგიერთს პიესაში უთამაშნია ხშირად ორი და ოთხი  
როლიც. დაახლოვებით უთამაშნია არა ნაკლებ 500  
სხვა და სხვა როლისა.

გუნიას 1882 წლიდან დღევანდლ. მდე დაუწერია,  
გადმოუკეთებია უთ რგმნია 65 პიესა. მთში ნათარ-  
გმია 25 ორგინალური და გადმოკეთებულია. 40  
დრამა 25 კომედია 20. ვოდვეილი 20, ვ. გუნიას  
დღემდე საცტორო ჰონორარი სრულდებით არ მიუღია.

დღეს სახ ზინთ თებერში გაიმართება ვ. გუნიას  
25 წ. მოღვაწეობის შესრულების სამადლობელი საზეი-  
მო კრება. დაიწყება დღის 1 საათზე.

„ალიონი“ სოციალ-დემოკრატიული გაზეთი  
მისის პირველს გამოვა.

ახალი კომედიი დასწერა ვალ. შალიკაშვილმა.

მსახიობათა კავშირის დამფუძნებელი კრება  
გაიმართება კვირას, აკრილის 30

„ტაზ. ხალხის თავისუფლების“

ფონდის გასაძლიერებლად: 1) თბლისის კოპე-  
რატემა „მეურნემ“ საზოგადო კრების დადგენილების  
თანამხად, შესწირა ოცდა ათი თუმნი (300 მან.);  
2) ექიმმა ივ. დიმ. ბოკერიამ—ათი თუმნი (100) მ.,  
3) ხაშურის თანამგრძობთ ხუთი თუმნი (50 მან).

გიორგი ანდ მადრძიძისაგან

„თატრი და ცხოვრების სასარგებლოდ“ თვიური დ.ხ-  
მარება 3 მ.

პალ. გუნიას გადასაცემად გიორგი ინდრიას ძე  
მადრძიძისაგან მიეღეთ 5 მან.

„გადლობის დღე“ საუბილეო დ სურათებე-  
ლი: ლმანახი ვ. გუნიას პატივსაცემ და 35 წლ ს  
თოდვაწეობის აღანიშნავად გამოცემული მ. გაჩეჩილა-  
ძის მიერ ს. მგალობლიშვილის რედაქტორობთ უკვე  
გამოვიდა. აღმ.ნაში მოთავსებულია მრავალი სურათი  
ვ. გუნიასი საკუთარი სახით და სხვ დასხვა  
როლებში, აგრეთვე წერილები ჩვენ დამსახურებულ  
მწეალებ; აღმანახი ფართე ზომისა, კოპწი-დ და  
გემოიანად საუკეთესო ჰადალდზე დაბეჭდილი დაღირს  
მხოლოდ 1 მ. ამ აღმანახის შემოსავალი ხარჯის  
გარდა გარდაეცემა იუილიარის ფონდს



რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.



შაბათს, 29 აპრილის, ნაშუადღევს პირველ სა-ათხედ

სახელმწიფო თეატრში დანიშნულია

საზეიმო ერთნულ-კულტურული კრება

### ვალერიან გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის საჯაროდ აღსანიშნავად

საწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ-1882—XXXV—1917

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

ბილეთები იყიდება თეატრის კასრაში.

საზეიმო კრების მოწყობნის ქართული დრამა ტ. საზოგადოების გაგეგობა, საჯარო კატიცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია

იმავე დღეს საღამოს იმავე თეატრში საღმრთაწაულო წარმოდგენა

#### ავლაბრის თეატრი პალასი.

კვირას 30 აპრილს, 1917 წ.

ქართულ სახალხო თეატრის დამსახურებულ სცენის მოყვარეთაგან საზოგადოების თხოვნით წარმოდგენილი იქნება პ. ირეთელის ცნობილი

### ქრისტინე

დრამა პიესა 4 მოქ.

მონაწილეობენ: ქ-ნი ანკარა, რჩვეულოვი, ჩარკვანი, ბ-ნნი: გ. გელიკურაშვილი, რ. სალაყაია, ი. ანუაშვილი, ერ. თარხანოვი, ი. გულისაშვილი, გ. პაპინაშვილი, მეზუროვი, ა. გეურქოვი და სხ.

ანტრაქტებში დაუკრავს ს. მხედრო მუსიკა—მზადდება: დამარტხეუღნი რეჟისორი გ. გელიკურაშვილი.

გამგე, ს. მეზვრიაშვილი

#### მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის (ავტონომისტთა) გაზეთი

## „ხალხის თავისუფლება“-ზე

(წელიწადი პირველი. კვირაში ორჯერ) ივანე გომართლის მახლობელი მუღმივი მონაწილეობით, მუშა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით და იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა კლასის სამსახური, ეროვნული საკითხის ჰუმური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტთა გაერთიანება, და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

გაზეთის ფასი: წლის ბოლომდე 5 მან., თითო ნომერი-5 კ. ხელის მოწერა მიიღება: რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ. № 20 ნ. არჯვეანიძის სახლი, ალექსანდრეს ბაღის თავში, ხაზინის ზევით) და „სორაპანის“ სტამბის კანტორაში, ფოსტით: Тифлисъ ред. „Халхის Тавისუფლება“—Иос. Имедашვილი რედაქტორ გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

### „თეატრი და ცხოვრება“

ორი პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მდათოვის კუნა № 1, ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховრება“—Иос. Имедашვილი.



ახალი კლუბი კვირის პრო-აპრილის 23 30 კვირა - რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30 კ. მრუშაბათი - ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 სამშაბათი - საოჯახო საღამო მთხვაბ. - სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ. ხუთშაბ. - ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ. პარასკ. - ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-ღე შაბ. - საოჯახო საღამო კვირა - რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ. დანაწმინა: კონცერტებისა საღამ. 9 (ათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა-შუახს. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მაშაკაც. 1 მ